

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

ირმა ხონელიძე - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე/პროგრამების დირექტორი;

კომისიის წევრები:

კონსტანტინე ოჩიგავა - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

ოთარ ნამიჭიშვილი - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

შალვა ბაღაშვილი - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის შესყიდვების მენეჯერი;

გიორგი კუჭუხიძე - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი;

ქეთევან სტვილია - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მენეჯერი.

ნინო ვახანია - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის ფინანსური მენეჯერი;

კომისიის აპარატის წევრი:

ხათუნა კაპანაძე - სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს გლობალური ფონდის პროგრამების მართვის ჯგუფის შესყიდვების სპეციალისტი;

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ

დაფინანსებული, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების (CPVკოდი 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის განცხადების ტექსტის, სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

#### მოისმინეს:

სატენდერო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის (ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“) საჭიროა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვა.

სატენდერო კომისიამ განიხილა, სხდომაზე წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ტექნიკური დავალება. განხილვის შედეგად აღინიშნა, რომ შესასყიდა შემდეგი დასახელების მედიკამენტები: ტინიდაზოლი 740 ცალი, ფორმა/დოზა - 500მგ, აბი (ტაბლეტი/კაფსულა) და ფლუკონაზოლი 1215 ცალი, ფორმა/დოზა - კაფს, 150 მგ.

კომისიამ ასევე იმსჯელა, ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს პრეტენდენტის მიერ და უნდა იძლეოდეს შემოთავაზებული პროდუქციის შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვის მიზნით ცენტრის გლობალური ფონდის პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ განხორციელდა ბაზრის მოკვლევა, რაც მოიცავდა ანალოგიური სახის პროდუქციის საქართველოში არსებული იმპორტიორების/დისტრიბუტორების სახელზე წერილების დაგზავნას. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უმცირესი ფასის შესაბამისად, განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რაც შეადგენს 9,240.00 ლარს.

#### ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების (CPVკოდი 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის განცხადების ტექსტი, სხდომაზე წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ტექნიკური დავალება თანდართული პროექტის (წინამდებარე ოქმს თან ერთვის) შესაბამისად.

2. აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტების (CPVკოდი 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იქნეს ელექტრონული ტენდერი 9,240.00 (ცხრა ათას ორას ორმოცი) ლარზე.

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

კომისიის თავმჯდომარე:

ირმა ხონელიძე



კომისიის წევრები:

კონსტანტინე ოჩიგავა



ოთარ ნამიჭეიშვილი



შალვა ბალაშვილი



ქეთევან სტვილია



ნინო ვახანია



გიორგი კუჭუხიძე



ოქმი გააფორმა:

ხათუნა კაპანაძე



▼ შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) სამკურნალო მედიკამენტები

1.2 მიუთითეთ საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

 ტექნიკური დავალება.pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

  ფასების ცხრილი.pdf

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, 2017 წლის მაისში. პირობით DDP - INCOTERMS - 2010.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: (ააიპ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“- ფაქტური მისამართი: ქ. თბილისი, 0112, ა. ქურდიანის ქ. 21 ან ზულაჩაურის ქ. N72.

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

▼ ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის/მწარმოებელი კომპანიისა და მოდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ?

კი

2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაცია მოითხოვება შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანასთან/მწარმოებელ კომპანიასთან და მოდელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით

 \* ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა ან ვალდებულება,

ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის შესახებ საქონლის მოწოდების მომენტისთვის;

\* ინფორმაცია ფარმაცევტული პროდუქტის შესაბამისობის შესახებ. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს უშუალოდ მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ მახასიათებლებს, რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია. შემოთავაზებულ პროდუქტისასთან მიმართებაში წარმოდგენილი უნდა იქნას სრული ინფორმაცია (მაგ.: ინსტრუქცია გამოყენების შესახებ, ან კატალოგი, ან ბუკლეტი, ან ამონაბეჭდი მწარმოებლის „WEB“ გვერდიდან/ელექტრონული ფაილი და სხვ.). წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იძლეოდეს მოწოდებული პროდუქტის შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას, მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებთან, მახასიათებლებთან და სპეციფიკაციასთან.

• მედიკამენტი უნდა შეესაბამებოდეს: EMEA ან USFDA სტანდარტს (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ უკანასკნელის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ან შემოთავაზებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის No188 დადგენილების დანართში აღნიშნული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ან წარმოდგენილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP), რომლითაც დასტურდება, რომ ფარმაცევტული პროდუქტი დაშვებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის No188 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ბაზარზე.

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა საკვალიფიკაციო მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

იხ. სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1. პუნქტი.

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

▼ შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

▼ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20 %-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით ან შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით / ანგარიშგაქტურით (ინვოისით), რომლითაც დადასტურდება შესყიდვის ობიექტის თვითღირებულება ან აღნიშნულ ფასად საქონლის რეალიზების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში

▼ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

▼ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

▼ ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

▼ ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

 ხელშ. პროექტი.pdf

▼ საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ხათუნა კაპანაძე, 593750031, kh.kapanadze@ncdc.ge

▼ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

▼ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციები და ტექნიკური პირობები

№	დასახელება	სრული შესასყიდი რაოდენობა
1	ტინიდაზოლი (Tinidasole) ფორმა/დოზა: 500მგ, აბი (ტაბლეტი/კაფსულა)	740
2	ფლუკონაზოლი ფორმა/დოზა: კაფს, 150 მგ	1215

საქონლის ვარჯისიანობის ვადა უნდა მოწოდების მომენტისათვის უნდა იყოს 12 თვე ან მეტი.

\* მედიკამენტი უნდა შესაბამებოდეს: EMEA ან USFDA სტანდარტს (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ამ უკანასკნელის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ან შემოთავაზებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილების დანართში აღნიშნული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ან წარმოდგენილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP), რომლითაც დასტურდება, რომ ფარმაცევტული პროდუქტი დაშვებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ბაზარზე.

\* მოთხოვნილ პროდუქციასთან მიმართებაში წარმოდგენილ უნდა იქნას სრული ინფორმაცია (მაგ.: ინსტრუქცია გამოყენების შესახებ, ან კატალოგი, ან ბუკლეტი, ან ამონაბეჭდი მწარმოებლის „WEB“ გვერდიდან/ელექტრონული ფაილი და სხვ.). წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იძლეოდეს მოწოდებული პროდუქციის შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას, მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებთან, მახასიათებლებთან და სპეციფიკაციასთან.